საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

საქართველოს კომუნიკაიცების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების კენჭისყრის ოქმი

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლისა და კომისიის 2017 წლის 18 აპრილის N261/22 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში (კომისია“) თავმჯდომარის არჩევის პროცესი დაიწყო 2017 წლის 02 მაისს, 17:00 საათზე;

კომისიის თავმჯდომარის რეგისტრირებულ კანდიდატთა ოდენობა - 1 (ერთი) - კომისიის წევრი კახი ბექაური;

საარჩევნო ყუთი საჯაროდ დაილუქა 2017 წლის 02 მაისს, 17:00 საათზე.

კენჭისყრაში მონაწილე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხუთივე წევრზე ფიზიკურად გაიცა საარჩევნო ბიულეტენი - სულ 5 (ხუთი).

კენჭისყრა დასრულდა 2017 წლის 02 მაისს, 17:07 საათზე;

საარჩევნო ყუთის გაიხსნა 2017 წლის 02 მაისს, 17:07 საათზე;

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 (ხუთი) ბიულეტენი;

კახი ბექაურის კომისიის თავმჯდომარედ არჩევას მხარი დაუჭირა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხუთივე წევრმა;
არც ერთი ბიულეტენი არ გაფუჭებულა;

კენჭისყრის შედეგად დაფიქსირდა, რომ კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატმა კახი ბექაურმა მიიღო 5 ხმა და არჩეულ იქნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ.

ოქმი წარედგინოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას და გამოქვეყნდეს კომისიის ვებგვერდზე www.gncc.ge დაუყოვნებლივ.

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე /ი.ხარებავა/

ხმის დამთვლელი კომისიის წევრი /ე.ჭახრაკია/

ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი /ნ.ჯანელიძე/

თბილისი, 2017 წლის 02 მაისი, 17:09 საათი.